2979 **04** / მაისი / **2016 წ.**

სსიპ სმართ ლოჯიქი
საქართველო, ქ.თბილისი, 0114,
გორგასლის ქ.24ა. ტელ : 2405818;
ელ. ფოსტა:support@justice.gov.ge

შპს "მიკრონეტის" დირექტორს ბატონ
ვახტანგ სიხარულიძეს
მის: თბილისი, თელავის ქ.20

ბატონო ვახტანგ,

სსიპ „სმართ ლოჯიქსა“ და შპს „მიკრონეტს“ შორის 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული № 2016/5 ხელშეკრულების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ შპს „მიკრონეტის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სადემარკაციო წერტილამდე ინტერნეტით მომსახურების გაწევა ხორციელდება არაჯეროვნად. კერძოდ, 2016 წლის 15 იანვარს თქვენს მიერ წარმოდგენილი წერილში, ხელშეკრულების შესრულების შეფერხების მიზეზად მითითებულ იქნა დაბა მესტიაში დიდთოვლობა, როგორც ფორსმაჟორული მდგომარეობა. აქვე თქვენს მიერ განმარტებულ იქნა, რომ 2016 წლის 12 იანვარს აღნიშნული ფორსმაჟორული მდგომარეობა აღმოფხვრილია და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელიც მდებარეობს სეტის მოედან № 1-ში, მიეწოდება ინტერნეტის მომსახურება. თუმცა, მიმდინარე წლის იანვრის, თებერვლის, მარტისა და აპრილის თვის მომსახურება, მისი მოცულობისა და ხარისხის გათვალისწინებით, არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზის შესახებ თქვენი მხრიდან არ მომხდარა სსიპ „სმართ ლოჯიქისთვის“ წერილობითი შეტყობინების გამოგზავნა, რისი ვალდებულებაც მხარეს ეკისრება № 2016/5 ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე გატყობინებთ, რომ № 2016/5 ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.1. პუნქტის საფუძველზე, სსიპ „სმართ ლოჯიქი“ წყვეტს 2015 წლის 30 დეკემბრის №2016/5 ხელშეკრულებას. აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ „სმართ ლოჯიქი“ იტოვებს უფლებას, თქვენი მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამომწვევ მიზეზად მიიჩნიოს დაბა მესტიაში გახშირებული უამინდობა და აღნიშნული ფორსმაჟორული მდგომარეობის გათვალისწინებით, არ დააკისროს შპს „მიკრონეტს“ საჯარიმო სანქციები.

პატივისცემით,

სსიპ სმართ ლოჯიქის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი მეჟლუმიანი